საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 999-02
04/05/2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

2026 წლის 27 თებერვლის რექტორის N423-02 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე. საკონკურსო განცხადებების მიღების პერიოდი განსაზღვრული იყო ბრძანების მიხედვით 2026 წლის 31 მარტიდან 2026 წლის 17 აპრილის ჩათვლით. ამ პერიოდში არცერთი განაცხადი არ შემოსულა უნივერსიტეტის კანცელარიაში. კონკურსის შედეგი უნდა დამტკიცდეს 2026 წლის 4 მაისს.

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების”, რექტორის 2026 წლის 27 თებერვლის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ “ N423-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 27 თებერვლის N3 და 2026 წლის 28 აპრილის N5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებული არ გამოვლინდა.
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: ბიბლიოთეკა, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი